

საქართველო
კონაიციური ანგარიში
ქალთა უფლებების შესახებ

GEORGIA
NGO COALITION JOINT SUBMISSION ON
WOMEN'S HUMAN RIGHTS

ბაეროს აღმნიშნის უფლებათა საბჭოს
უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა
(მე-2 სიკლი, 23-ე სესია, 2015)

HUMAN RIGHTS COUNCIL
UNIVERSAL PERIODIC REVIEW
(SECOND CYCLE, 23RD SESSION, 2015)

არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია:

კავშირი საფარი
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) ქალთა ინიციატივების
მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)
„ჯანმრთელობა განათლება უფლებები ალტერნატივა - პერა XXI“
„ალტერნატივა ჯორჯია“

NGO Coalition:

Sapari, International Society for Fair Elections and Democracy (ISFED), Human Rights Education and Monitoring Center (EMC); Women's Initiatives Supporting Group (WISG); ACESO International for Women; Health Education Rights Alternative (HERA XXI); Alternative Georgia.



Sapari / საფარი



ALTERNATIVE
GEORGIA



women's
initiatives
supporting
group



ISFED
საერთაშორისო პირდაპირი
და მართლმართალი საარჩევნო
სამართლები

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center



პერა XXI
HERA XXI

კოალიცია შეიქმნა საქართველოს 2015 წლის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის ერთობლივი ანგარიშის მოსამზადებლად. კოალიციაში შედიან კარგად დამკვიდრებული სამოქალაქო-საზოგადოებრივი, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად ან სხვა საკითხებთან ერთად მუშაობენ ქალთა უფლებებზე. ანგარიშში მოცემული ინფორმაცია დამუშავებულია მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საკითხის შესწავლის, კვლევის, პრაქტიკის, საქმეების, უფლებადამცავი საქმიანობისა და პოლიტიკური ლობირების საფუძველზე.

ანგარიში მომზადდა ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით.

შინაარსი:

I. შესავალი:..... 3

II. საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩო..... 3

III. მიღწევები უფლებების დაცვის სფეროში..... 4

IV. მთავარი საკითხები:..... 5

 1. ქალთა მიმართ ძალადობა..... 5

 2. ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ნაკლებობა..... 7

 3. მარგინალიზებული ქალები..... 9

 უსახლკარო ქალები..... 9

 სექს-მუშაკი ქალები..... 11

 ლბტქალები..... 12

 ნარკოტიკების მომხმარებელი ქალები..... 14

I. შესავალი:

საქართველოში ქალებს ფესვგადმული პატრიარქალური კულტურის, ქალთა მიმართ არსებული რელიგიური და სხვა ტრადიციული დამოკიდებულებების გამო მეორეხარისხოვან მოქალაქეებად მიიჩნევენ. წინამდებარე ერთობლივი ანგარიში ეხება საქართველოში ქალთა სიტუციას სამ პრობლემატურ სფეროში:

- ✓ ძალადობა, განსაკუთრებით ძალადობა ოჯახში და ფემიციდის¹ მსხვერპლი ქალები საქართველოში;
- ✓ ქალთა უკიდურესად მცირე წარმომადგენლობა მმართველობის ორგანოებში;
- ✓ მარგინალიზებული ქალები (სექს-მუშაკები, ლბტ, უსახლკარო და ნარკოტიკების მომხმარებელი ქალები), რომლებიც უხმოდ განიცდიან სხვადასხვაგვარ დისკრიმინაციას.

თითოეული პრობლემატური სფეროს განხილვას ახლავს რიგი რეკომენდაციებისა, რომელიც კოალიციამ მოამზადა საქართველოს მთავრობისთვის.

II. საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩო

1. საქართველომ 1994 წელს მოახდინა “ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” კონვენციის რატიფიცირება. 2014 წელს ხელი მოეწერა “ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ” კონვენციას (სტამბულის კონვენციას) თუმცა ჯერ-ჯერობით მისი რატიფიცირება არ მომხდარა.
2. საქართველო ასევე შეუერთდა პეკინის დეკლარაციას და სამოქმედო პლატფორმას², რომლის ერთ-ერთი კომპონენტი პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაძლიერებაა. ამ მიზნის მისაღწევად პეკინის დეკლარაცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს შექმნან კონკრეტული მექანიზმები ეროვნულ დონეზე.³
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თავი, რომელიც ეხება სქესობრივ დანაშაულებს მოძველებულია და საბჭოთა ეპოქის დანაშაულებს შეიცავს – საუბრობს მამათმავლობაზე, ლეს-

¹ „ფემიციდი ზოგადად განიშარტება როგორც ქალების განზრახი მკვლელობა იმის გამო, რომ ქალები არიან, მაგრამ უფრო ფართო განმარტება მოიცავს აგრეთვე ქალების ან გოგონების ყველა მკვლელობას.“

http://apps.who.int/iris/bistream/10665/77421/1/WHO_RHR_12.38.pdf

² <http://www.un.org/womenwatch/daw/beijing/platform/declar.htm>, საქართველომ 1995 წელს მიიღო აღნიშნული დეკლარაცია.

³ <http://www.un.org/womenwatch/daw/beijing/platform/>

ბოსელობასა და სხვა გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირზე. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს გადაკიდებისა და სექსუალური შევიწროვების ცნებებს. 2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მაგრამ კანონში არ არის მოცემული აღსრულების მექანიზმი და მისი არსებობა ფორმალურად რჩება. კანონი „ოჯახში ძალადობის შესახებ“ მოქმედებს 2006 წლიდან და აღნიშნული კანონის თანახმად ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ძალადობის ფორმებია, თუმცა ეკონომიკური ძალადობა არ არის სამართლებრივად დასჯადი ხოლო ფსიქოლოგიური ძალადობის მხოლოდ ზოგიერთი ფორმა წარმოადგენს დასჯად ქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობის შესახებ კანონი ითვალისწინებს მოძალადე ოჯახის წევრებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრების არსებობას, საქართველოში ამგვარი ცენტრები არ შექმნილა. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფო თავშესაფრები არ არის ხელმისაწვდომი მარგინალიზებული ქალებისთვის, როგორცაა ნარკოტიკების მომხმარებელი, ფსიქიკური პრობლემების მქონე ქალები, კომერციული სექს-მუშაკები.

4. საქართველოში 2008 წლიდან მოქმედებს საქართველოს პარლამენტის მიერ დაარსებული გენდერული თანასწორობის საბჭო, თუმცა 2012 წლიდან საბჭო პასიური გახდა და იშვიათად იკრიბება.
5. 2014 წლის ბოლოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფემიციდის შემთხვევების ზრდაზე რეაგირებს მიზნით შეიმუშავა სახელმწიფო სტრატეგია ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გემოხსენებული სტრატეგია შეიმუშავა სხვა დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების მინიმალური ჩართულობით. სტრატეგია ჯერ არ მიუღიათ, თუმცა ის მკაცრად იქნა გაკრიტიკებული სტერეოტიპული დამოკიდებულებების გამო.

III. მიღწევები უფლებების დაცვის სფეროში

6. 2014 წელს საქართველომ მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის ცნებებს, თუმცა შევიწროვებას არ ახსენებს.
7. 2014 წელს „ქალთა მოძრაობამ“ შეაგროვა ხელმოწერები ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და შეიტანა პეტიცია საქართველოს პარლამენტში. თემის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა კომიტეტთან შეიქმნა ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობენ „ქალთა მოძრაობის“ წევრები. კომიტეტის სხდომებზე სამუშაო ჯგუფი ატარებს

სახელმწიფოს წარმომადგენლების საჯარო მოსმენებს და გეგმავს აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას 2015 წლის გაზაფხულის ბოლოსთვის.

8. 2012 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულები უფრო მკაცრი სასჯელის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს.⁴ მიუხედავად ამისა აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში აღსრულება არ ხდება; მთავარი პროკურატურა ამტკიცებს, რომ სასჯელის დანიშვნა მოსამართლეების საქმეა, და შესაბამისად ამ მუხლის შეფარდებაც მოსამართლეებს ეკისრებათ; მეორე მხრივ, სასამართლო ამტკიცებს, რომ პროკურორების ფუნქციაა პროცესზე სიძულვილის მოტივის დამტკიცება. საბოლოოდ, ამ მუხლს არც პროკურორები ითვალისწინებენ და არც მოსამართლები.

IV. მთავარი საკითხები:

1. ქალთა მიმართ ძალადობა

9. 2011 წელს საქართველოს პირველი უნივერსალური მიმოხილვის ეტაპზე საქართველომ მიიღო რეკომენდაცია მეტი ძალისხმევა მიემართა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისკენ.⁵
10. 2014 წელი უპრეცედენტო იყო საქართველოსთვის იმ თვალსაზრისით, რომ ქალთა მიმართ ძალადობის 30-მდე შემთხვევა დასრულდა სიკვდილით.⁶ ამასთან არსებობს ფემიციდთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პრობლემა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონოღებული რიცხვები განსხვავდება. გარდა ამისა, ადგილი აქვს დაუდგენელი ოდენობის თვითმკვლელობებს, რაც განპირობებული სისტემატური ძალადობით ქალებზე, მათ შორის იძულებითი ქორწინებებით. იმის მიუხედავად, რომ თვითმკვლელობის შემთხვევაში გამოიძიება ინცება, 2014-2015 წლებში არც ერთი ამგვარი საქმე არ მივიდა ბრალდების ეტაპამდე. რამდენიმე გახმაურებული საქმე მოიცავს: 1) მუსლიმი ქალის შემთხვევას რომელსაც 5 საათზე მეტი ხნის განმავლობაში საჯაროდ სცემდნენ სოფელში და ამ ხნის განმავლობაში არავინ გამოიძახა პოლიცია

⁴ მუხლი 53.31, 2012 წლის 27 მარტის ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

⁵ საქართველოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის შესახებ სამუშაო ჯგუფის ანგარიში, 2011 წლის 16 მარტი (A/HRC/17/11), რეკომენდაციები: 105.14, 105.24, 105.39, 105.40, 105.42, 105.43, 106.19, 106.28.

⁶ იხ. <http://humanrightshouse.org/Articles/20553.html>

– ქალმა მეორე დღეს თავი მოიკლა;⁷ 2) უნივერსიტეტის პროფესორის, მაკა წიგნივაძის შემთხვევას, სადაც პირმა ჯერ ყოფილი ცოლი მოკლა და მერე თავი მოიკლა უნივერსიტეტის სტუდენტების თვალწინ. მკვლელობის მსხვერპლმა პოლიციას რამდენჯერმე მიმართა ბოლო თვის განმავლობაში, მაგრამ დახმარება ვერ მიიღო;⁸ 3) პოლიციის თანამშრომლის მიერ თავისი ყოფილი ცოლის, 19 წლის სალომე ჯორბენაძის მკვლელობის შემთხვევა – დამნაშავემ მსხვერპლი ცოლად შეირთო, როდესაც ეს უკანასკნელი არასრულწლოვანი იყო.⁹ ოჯახში ძალადობის საქმეებზე, რომლებიც ჩადენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ, არაადექვატური გამოძიება ტარდება.

11. საქართველოში, ისევე როგორც სხვაგან, ოჯახში ძალადობა ქალების მიმართ ძალადობის ყველაზე ფარული და ვერაგი ფორმაა. სამართლის აღსრულება ამ სფეროში მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდება. ძალადობისგან პირს მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები იცავს, თუმცა სტატისტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად აღნიშნული კანონები არ გამოიყენება. მაგალითად, კვლევები აჩვენებს, რომ 3-დან 1 ქალი განიცდის ხელყოფას მისი პარტნიორის მხრიდან და 11-დან 1 ქალი ექვემდებარება ფიზიკურ ძალადობას.¹⁰ მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს პოლიცია გამოიძახეს ოჯახური კონფლიქტის 5447 შემთხვევაში, მხოლოდ 212 შემთხვევაში გაიყა დამცავი ორდერი ხოლო გამოძიება 300-ზე მეტ ფაქტზე დაიწყო.¹¹
12. კავშირი „საფარი“-ს პრაქტიკა აჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობის თითქმის ყველა საქმეში ძალადობის მსხვერპლი ჩივის პოლიციის თანამშრომლის მიერ ადექვატური დახმარების გაუწევლობაზე. პოლიციელები დღემდე მიიჩნევენ, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახის საქმეა და საჯარო საკითხს არ წარმოადგენს. ისინი წყვეტენ გამოძიებას, როდესაც მსხვერპლს გააქვს განცხადება, განცხადებაზე უარის თქმის მიზეზების გამოკვლევის გარეშე. ხშირად, დანაშაულის

⁷ 30 წლის ქალი სასტიკად ცემეს მთელი სოფლის თვალწინ და მსხვერპლმა თავი მოიკლა. იხილეთ: <http://intermedia.ge/vid/378512-/>

⁸ 2014 წლის 17 ოქტომბერს, ყოფილმა ქმარმა ესროლა ცოლს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და შემდეგ მოიკლა თავი. იხილეთ: <http://dfwatch.net/man-shoots-ex-wife-then-kills-himself-at-tbilisi-university-98859>

⁹ 2014 წლის 25 ივლისს, პოლიციის თანამშრომელმა მოკლა ყოფილი ცოლი მესტაფონში. იხილეთ: <https://iwpr.net/global-voices/georgian-murders-highlight-violence-against-women>

¹⁰ მ. ჩიტაშვილი და სხვები (2010). საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ეროვნული კვლევა. საბოლოო ანგარიში. <http://www.genderbasedviolence.ge/en/content/show/12/research.html>

¹¹ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა შეგიძლიათ იხილოთ: http://www.gurianews.com/view_left_wide.html?item=21121&title=ოჯახური+ძალადობის+სტატისტიკა&cat_id=74&lang=ka

ჩამდენი პირები ხედავენ პოლიციის არაადექვატურ რეაგირებას და ძალადობის უფრო მძიმე ფორმებს მიმართავენ. საბოლოო ჯამში, დიდ იშვიათობას წარმოადგენს მსხვერპლი, რომელიც პოლიციის მიერ განეული დახმარებით კმაყოფილია.¹² ფემიცილის შემთხვევების უმრავლესობაში ძალადობა გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ პოლიციას ძირითადად არ ატყობინებდნენ ამის შესახებ, რაც მიუთითებს საზოგადოების დაბალი ნდობის ხარისხზე პოლიციის მიმართ.

რეკომენდაციები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შექმნას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის უწყება.
- საქართველომ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია გენდერული ძალადობის აღკვეთისა და ძალადობის მსხვერპლთათვის სარეაბილიტაციო მომსახურებების გასაწევად.

2. ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ნაკლებობა

13. 2011 წელს საქართველოს პირველი უნივერსალური მიმოხილვის ეტაპზე საქართველოს მისცეს რეკომენდაცია მიეღო პოლიტიკური, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომები, რომელიც უზრუნველყოფდა ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას მმართველობის პროცესში, ისევე როგორც მაღალ თანამდებობებზე საჯარო სექტორის ადმინისტრაციის ყველა სფეროში.¹³
14. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საქართველოში პოლიტიკასა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალთა წარმომადგენლობა არ გაუმჯობესებულა 2013 წელს, ქალები შეადგენდნენ პარლამენტის წევრთა 25.6% მთელ მსოფლიოში¹⁴. საქართველო ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება, რადგან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ქალებმა დეპუტატთა მანდატების მხოლოდ 11% მოიპოვეს. შესაბამისად, საქართველოს მე-115 ადგილი უჭირავს 185 სახელმწიფოს შორის.¹⁵ თვალსაჩინო გენდერული დისბალანსი არ-

¹² ინტერვიუ კავშირი „საფარი“-ს აღმასრულებელ დირექტორთან, ბაბუცა პატარაიასთან (18.02.2015.). ორგანიზაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს უწევს სამართლებრივ კონსულტაციას და ფსიქო-სოციალურ და სამედიცინო რეაბილიტაციას 2001 წლიდან.

¹³ საქართველოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის შესახებ სამუშაო ჯგუფის ანგარიში, 2011 წლის 16 მარტი (A/HRC/17/11), რეკომენდაციები 106.32, 106.33, 106.34, 105.23, 105.24.

¹⁴ ინფორმაცია მოყვანილია შემდეგი ვებ-გვერდიდან: www.ipu.org

¹⁵ ინფორმაცია მოყვანილია შემდეგი ვებ-გვერდიდან: <http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm>

სებობს აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც, სადაც 19 მინისტრიდან მხოლოდ სამია ქალი.¹⁶

15. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა გენდერული დისბალანსის შემამწვანებელი სურათი აჩვენა. 12 თვითმმართველი ქალაქის ყველა მერი მამაკაცია, ხოლო ქვეყანაში არსებული 69 გამგებლიდან (ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მეთაური) მხოლოდ ორია ქალი (მათ შორის, ერთი თბილისში დაინიშნა თანამდებობაზე). 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (საკრებულოებში), ქალთა რაოდენობა წევრთა 11% შეადგენს¹⁷. სიტუაცია არ გაუმჯობესებულა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგად, რადგან საკრებულოს წევრთა მხოლოდ 11% არის ქალი.
16. საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებში არსებული მძიმე გენდერული დისბალანსის გათვალისწინებით ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებზე, სასწრაფოდ უნდა მოხდეს საქართველოს კონტექსტზე მორგებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, რომელიც დაფუძნებული იქნება წარმატებულ საერთაშორისო პრაქტიკაზე და საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზებას მოახდეს საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან და კონკრეტულ რეკომენდაციებთან. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს სავალდებულო გენდერული კვოტების სამართლებრივ მექანიზმს. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის 7¹ პუნქტის თანახმად, “პარტია, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს საბაზო დაფინანსებაზე დანამატს საბაზო დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ ... წარდგენილ საარჩევნო სიაში (ადგილობრივი თვითმმართველოს ორგანოთა არჩევნებზე - ყველა პარტიულ სიაში)... ყოველ ... ათეულში ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 30%-ით.” როგორც რიგმა საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა აჩვენა, აღნიშნული ნორმა სრულიად არასაკმარისია გენდერული დისბალანსის რაიმე მნიშვნელოვანი გამოსწორების მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე მმართველ პარტიას გამოეყენებინა ზემოხსენებული ფინანსური წახალისების მექანიზმი.
17. ქვეყანაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს პერიოდულ ანგარიშზე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს მიღებული და-

¹⁶ 2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით

¹⁷ <http://www.isfed.ge/main/653/geo/>

სკვნიითი დებულებების თანახმად, მნიშვნელოვანი ზომებია მისაღები თანასწორობის უზრუნველსაყოფად. კომიტეტმა მიუთითა სავალდებულო კვოტების სისტემის არარსებობაზე¹⁸ ქვეყანაში და რეკომენდაცია გაუწია საქართველოს მიეღო კანონმდებლობა გენდერულ კვოტებთან დაკავშირებით საჯარო სივრცეში ქალთა მონაწილეობის, მარგინალიზებული და არახელსაყრელ პირობებში მყოფი ქალების ინტეგრაციის ხელშესაწყობად. კომიტეტი აგრეთვე შეშფოთდა იმ ფაქტის გამოც, რომ ქალები არ არიან სათანადოდ წარმოდგენილნი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, განსაკუთრებით ზემდგომ და მმართველ თანამდებობებზე. შესაბამისად, კომიტეტმა რეკომენდაცია გაუწია საქართველოს მიეღო კვოტების შესახებ კანონმდებლობა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.¹⁹

რეკომენდაცია:

- საქართველომ უნდა მიიღოს კანონმდებლობა სავალდებულო გენდერული კვოტების შესახებ პარლამენტსა და ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოებში.
- საქართველომ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია ხელისუფლების სამივე შტოში მმართველ თანამდებობებზე ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად.

3. მარგინალიზებული ქალები

უსახლკარო ქალები

18. 2011 წელს საქართველოს პირველი უნივერსალური მიმოხილვის ეტაპზე საქართველომ მიიღო ქალების და განსაკუთრებით მათი სოციალურად მოწყვლადი ნაწილის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის რეკომენდაცია.²⁰ თავის შუალედურ ანგარიშში საქართველოს მთავრობა ამტკიცებდა, რომ მან გადადგა ნაბიჯები ამ რეკომენდაციების შესასრულებლად, ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანის გზით, ისევე როგორც სხვადასხვა ზომებით, რომლებიც მიზნად ისახავენ ქალთა

¹⁸ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, 2014 წლის 18 ივლისი, პუნქტი 16.

¹⁹ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, 2014 წლის 18 ივლისი, პუნქტები 24 და 25.

²⁰ საქართველოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის შესახებ სამუშაო ჯგუფის ანგარიში, 2011 წლის 16 მარტი (A/HRC/17/11), რეკომენდაციები 105.12, 105.14, 105.21, 105.42, 105.43, 106.19 and 106.27.

დაცვის გაუმჯობესებას.²¹ ეს ზომები არ აღმოჩნდა ეფექტური, რადგან ისინი ადექვატურად ვერ პასუხობენ პრობლემებს, რომლებიც იწვევს ქალთა უსახლკაროდ დარჩენას და იმგვარ პირობებში ცხოვრებას, რაც არ შეესაბამება ადექვატური საცხოვრებლის უფლების მოთხოვნებს.²²

19. ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ სხვადასხვა მონყვლადი ჯგუფების და განსაკუთრებით ქალების უსახლკარობას სისტემური ხასიათისაა. ეს ფაქტორები, სხვა მიზეზებთან ერთად, აიხსნება იმით, რომ სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები გენდერულ განსხვავებებს არ ითვალისწინებს, აგრეთვე ქვეყანაში ქალები მძიმე ეკონომიკურ სიდუხჭირეში ცხოვრობენ. ხშირ შემთხვევაში ქალების უსახლკარობა განპირობებულია ოჯახში ქალისა და კაცის უთანასწორო მდგომარეობით, განსაკუთრებით ეკონომიკურ საკითხებში; ქალები ვერ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც საკუთრების გასხვისებით სრულდება და უსახლკარობას იწვევს. ამასთან ხშირია შემთხვევები, როდესაც უსახლკაროდ რჩებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები, რადგან მათ უხდებათ სახლიდან წასვლა. საზოგადოებაში არსებული სტიგმა და სტერეოტიპები განქორწინებასთან დაკავშირებით ხელს უშლის ქალს დაბრუნდეს მშობლებთან და ტოვებს მათ საცხოვრებელი ადგილის გარეშე. მარტოხელა დედების ეკონომიკური სიდუხჭირე აგრეთვე მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. შრომით ურთიერთობებში ქალების ნაკლები ანაზღაურება და ქალთა უთანასწორობა მემკვიდრეობის საკითხებში იწვევს ქალების სიღატაკეს, რომელსაც მიყვავართ უსახლკარობამდე.²³
20. უსახლკარო ქალები განიცდიან დისკრიმინაციის არა მხოლოდ მათი სქესის საფუძველზე, არამედ აგრეთვე სოციალური მონყვლადობის მიზეზითაც; ეს მათ დამატებით მარგინალიზაციას უწყობს ხელს. ისინი იძულებულნი არიან იცხოვრონ ცარიელ შენობებში ან დროებითი სარგებლობისთვის გაშლილ კარვებში, რომლებიც ადექვატური საცხოვრებლის მინიმალურ სტანდარტებს არ შეესაბამება.

²¹ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR), საქართველოს შუალედური პროგრეს-ანგარიში რეკომენდაციების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, შემუშავებულია 2011 წლის იანვარში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2013.

²² „სოციალური და ეკონომიკური უფლებები: ადექვატური საცხოვრებლის უფლება და შრომის უფლება“, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრის ინდივიდუალური ნაშრომი საქართველოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-2 ციკლისთვის, 2015.

²³ „არალიარება, უმოქმედობა და რეპრესია საცხოვრებლის სანაცვლოდ - სახელმწიფო თბიეცებში შეჭრილი, სოციალურად დაუცველი, უსახლკარო ოჯახების უფლებრივი მდგომარეობისა და სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2014, იხილეთ: <http://emc.org.ge/2014/08/27/non-recognition-inactivity-and-repression-substituting-a-home/>, ბოლო ვიზიტი განხორციელდა 2015 წლის 15 მარტს, გვ. 35-36.

რეკომენდაციები:

- საქართველომ უნდა გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი ქალთა გაძლიერებისთვის ეკონომიკურ, სოციალურ და საოჯახო ურთიერთობებში და უნდა აღმოფხვრას ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ქალების უსახლკაროდ დარჩენას.
- უსახლკარო ქალთა საჭიროებები უნდა იქნეს შესწავლილი და გენდერულად სენსიტიური სტრატეგიები და მეთოდოლოგიები უნდა შემუშავდეს ამ გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირებისთვის.

სექს-მუშაკი ქალები

21. საქართველოში დაახლოებით 14 469 სექს-მუშაკი ქალია (შემდეგში „ქსმ“), რაც მთელი მოსახლეობის 0.6 %-ს შეადგენს. საქართველოს დედაქალაქში, თბილისში ქალი სექს-მუშაკების 21 % ქუჩაში მუშაობს, ბათუმში, კი რომელიც ქვეყნის მთავარი ტურისტული ცენტრია, სექსმუშაკთა – 40% ქუჩაშია.²⁴ ქალი სექს-მუშაკების უმრავლესობა არ მუშაობს იმ ქალაქში, საიდანაც არიან; თბილისში, დაახლოებით მათი 72%, ხოლო ბათუმში – 93% არ არიან ადგილობრივები. ორივე ადგილზე, სადაც კვლევა ჩატარდა, ქალი სექს-მუშაკების უმრავლესობისთვის კომერციული სექსი წარმოადგენს შემოსავლის ერთადერთ წყაროს (83.7% თბილისში და 87.5% ბათუმში). ამასთან, ქალი სექს-მუშაკების უდიდეს უმრავლესობას (90% თბილისში და 83.3% ბათუმში) სარჩენი ყავს სხვა პირები.²⁵
22. პროსტიტუცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა საქართველოში. ის არ არის დანაშაული, მაგრამ სექსუალური მომსახურების განწევა ფრიად სტიგმატიზებულია. იმის გამო, რომ სექსუალური მომსახურების განწევა უკანონოა, იქმნება ბარიერები, მაგალითად, პოლიციის, მართლმსაჯულების და სათანადო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. იმის გამო, რომ სექს-მუშაკების უმეტესობა მალავს თავის საქმიანობას საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულებებისა და სტერეოტიპების გამო, ისინი უკიდურესად მონყვლადნი არიან ძალადობისა და დისკრიმინაციისთვის. უმეტეს შემთხვევაში, სექს-მუშაკები არ ითხოვენ შესაბამის დახმარებას, როდესაც ექმნებათ პრობლემები, მათ შორის როდესაც მათზე ძალადობენ. სექს-მუშაკები აგრეთვე ხდებიან პოლიციის ძალადობის მსხვერპლნი,

²⁴ „ქალი სექს-მუშაკების პოპულაციის ზომის შეფასება თბილისსა და ბათუმში, საქართველო, 2014“ – თანადგომა, საერთაშორისო ფონდი კურაცო, 2014 წლის აგვისტო, <http://new.tanadgomaweb.ge/upfiles/dfltcontent/3/150.pdf>

²⁵ „აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხო ქცევები სექს-მუშაკებს შორის საქართველოში ორ ქალაქში. ქცევებზე გედამხედველობის კვლევა თბილისსა და ბათუმში“, კვლევის ანგარიში, თანადგომა, საერთაშორისო ფონდი კურაცო, 2014 წლის ივლისი, <http://new.tanadgomaweb.ge/upfiles/dfltcontent/3/146.pdf>

მაგალითად, შანტაუის, უფასო სექსუალური მომსახურების მოთხოვნის ან ფულის გამოძალვის გზით. იმდენად, რამდენადაც სექს-მუშაკები უფრო ხიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სანქციებს და ზოგადად ცდილობენ არ შეეცმნათ პრობლემები სამართალდამცავ ორგანოებთან, სექს-მუშაკების უფლებების დარღვევები უპასუხოდ რჩება.²⁶

რეკომენდაციები:

- საქართველოში პროსტიტუცია არ უნდა იყოს დასჯადი და ამოღებული უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან.
- საქართველომ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა სექს-მუშაკების უფლებების, მათ შორის ისეთი უფლებების დასაცავად, როგორცაა პოლიციის ან სხვა პირთა ძალადობისგან დაცვა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, განათლება და თავშესაფარი.

ლბტ ქალები

23. საქართველოში არსებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური გარემო მძიმე დაბრკოლებებს ქმნის ლ(გ)ბტ პირების უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რაც ამ ჯგუფს ექმნება უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის და შეკრების თავისუფლებით სარგებლობას.²⁷ 2012-2013 წლებში რელიგიურმა ექსტრემისტებმა დაარბიეს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მშვიდობიანი მიტინგები. პოლიციის მიერ მიღებული ზომები არ იყო საკმარისი.²⁸ სახელმწიფომ არ ჩაატარა ზედმინვენითი და ეფექტური გამოძიება 2012 და 2013 წლის 17 მაისს განხორციელებულ თავდასხმებზე და არ დასაჯა დამნაშავეები.²⁹ ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 28 პირმა მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღეს გამართულ მშვიდობიან დემონსტრაციაზე. 17 მაისის მომდევნო დღეებში ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა დააფიქსია ლგბტ თემის წევრებზე ძალადობრივი თავდასხმების შემთხვევების

²⁶ „სექს-მუშაკების საჭიროებების გამოვლენისა და დისკრიმინაციის გამომწვევი ფაქტორების კვლევა“ - ასოციაცია ჰერა-XXI“, 2015.

²⁷ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 25.

²⁸ თ. ჰამერბერგი, საქართველო გარდამავალ პერიოდში http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/virtual_library/cooperation_sectors/georgia_in_transition-hammarberg.pdf

²⁹ <http://emc.org.ge/2015/01/26/ertoblivi-media-ngo/>

ზრდა³⁰. ნეგატიური გამოცდილების გათვალისწინებით, 2014 წელს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის აღნიშვნა შეუძლებელი გახდა.

24. საქართველოში ტრანსგენდერ პირებს არ შეუძლიათ მოითხოვონ მათი გენდერის სამართლებრივი აღიარება სქესის შეცვლის ოპერაციის გარეშე. საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს „სქესის“, ისევე როგორც სახელის და გვარის შეცვლას³¹, თუმცა კანონი არ შეიცავს „სქესის შეცვლის“ განმარტებას. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ განაცხადა, რომ სამართლებრივი სქესის ცვლილება ვერ მოხდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის გარეშე, რომელიც დაადასტურებს სქესის შეცვლას. ეს ნიშნავს, რომ პირმა უნდა გაიაროს შეუქცევადი სტერილიზაცია, ჰორმონებით მკურნალობა და წინასწარი ქირურგიული პროცედურები, რათა მიიღოს სქესის შეცვლის შესახებ სამედიცინო ცნობა, რაც სამართლებრივად გენდერული იდენტობის აღიარების საფუძველს შექმნის.³² პერსონალური სტრესის გარდა, ოფიციალურ დოკუმენტებში დაფიქსირებულ სქესსა და პირის გენდერულ თვით-გამოხატვას შორის წინააღმდეგობა ხშირად ხდება ტრანსგენდერი პირების დისკრიმინაციის საფუძველი შრომით ურთიერთობებში, საჯარო და კერძო დაწესებულებებში, სადაც პირადი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წარდგენა საჭირო.³³
25. 2014 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა იმსჯელა ამ საკითხზე და მოუწოდა სახელმწიფოს „გააუქმოს ტრანსგენდერი პირების მიმართ მოქმედი შეზღუდვები საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მიღებაზე.“³⁴ 2013 წელს, საქართვე-

³⁰ ლებტ პირთა მდგომარეობა საქართველოში, საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი, 2013

³¹ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 78, “8” პუნქტი ადგენს, რომ სქესის შეცვლა არის სამოქალაქო აქტების ჩანაწერში ცვლილების შეტანის ერთ-ერთი საფუძველი.

³² იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილი, ნო. 26948, დათარიღებულია 26.06.2012.

³³ ბოლო დრომდე, შეუძლებელი იყო უმაღლესი განათლების დიპლომის ხელახლა აღება, სადაც მითითებული იქნებოდა შეცვლილი სქესი. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვან პრობლემას უქმნიდა ტრანსგენდერ ადამიანებს, განსაკუთრებით სამუშაოს ძიების ეტაპზე. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 ივნისის №120/ნ ბრძანების თანახმად, დასაშვებია გახდა დიპლომის ხელახალი გაცემა, თუ პირი წარმალოდგენს სახელის ან/და გვარის შეცვლის დამადასტურებელ დოკუმენტს.

³⁴ CEDAW/C/GEO/CO/4-5. საქართველოს მე-4 და მე-5, გაერთიანებულ ანგარიშებზე დასკვნითი დებულებები. მიღებულია კომიტეტის 58-ე სესიაზე (30 ივნისი - 18 ივლისი, 2014): „პარ. 34. კომიტეტი შეშფოთებულია: ... ფიზიკური ძალადობისა და შევიწროვების გამო, რომელსაც განიცდიან ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ქალები და იმ შეზღუდვების გამო, რომელიც ხვდება ტრანსგენდერ პირებს საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მიღებისას; პარ. 35. კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოს: ... მიიღოს ზომები ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ქალების მიმართ არსებულ ძალადობასა და შევიწროებაზე რეაგირებისთვის და გააუქმოს ტრანსგენდერი პირების მიმართ მოქმედი შეზღუდვები საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მიღების პროცესში.“

ლოს სახალხო დამცველმაც გაუწია ხელისუფლებას რეკომენდაცია „შემოიღოს სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურა, რომლის მეშვეობითაც ტრანსგენდერი პირების ყველა ძირითად დოკუმენტში ასახული იქნება მათი გენდერული იდენტობა... ახალი ადმინისტრაციული პრაქტიკის დაწყებით, რომელიც დაფუძნებული იქნება გენდერული დისფორიის დიაგნოზზე.“

რეკომენდაციები:

- საქართველომ შემდგომი დაყოვნების გარეშე და ეფექტურად უნდა გამოიძიოს 2012 და 2013 წლების 17 მაისს მომხდარი მოვლენები და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, რაც მათ მოყვა.
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინაციით, უნდა შემოიღოს სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი, ახალი ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც ტრანსგენდერ პირებს საშუალებას მისცემს სქესის აღნიშვნა შეცვალონ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების მიერ გაცემულ ყველა დოკუმენტში მათგან სქესის შეცვლის ოპერაციის მოთხოვნის გარეშე.

ნარკოტიკების მომხმარებელი ქალები

26. გამოთვლილია, რომ საქართველოში არსებობს 40 000 ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი, რომელთა 10%-ს ქალები შეადგენენ.³⁵ ქალებში ნარკოტიკების მოხმარება ხშირად უკავშირდება სიღარიბეს და ზოგჯერ კომერციულ სექსუალურ მომსახურებას.³⁶ ნარკოტიკების მომხმარებელი ქალები წარმოადგენენ ყველაზე უჩინარ და დაუცველ ჯგუფს; მათი უმრავლესობა არ მონაწილეობს მკურნალობის ან ზიანის შემცირების სერვისებში.³⁷
27. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ნარკოტიკების უკანონო მოხმარება ისჯება ადმინისტრაციული³⁸ და სისხლის სამართლის წესით³⁹. ნარკოტიკულ დანაშალებთან დაკავშირებული მკაცრი კანონმდებლობა ასევე განუხრელად აღსრულდება. 2012 წლიდან დამსჯე-

³⁵ თ. სირბილაძე, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლების სიმრავლის შეფასება საქართველოში: კონსენსუს-ანგარიში. საზოგადოებრივი გაერთიანება ბემონი, 2010.

³⁶ კავშირი „ნაბიჯი მომავლისკენ“, ძალადობა წამალდამოკიდებული ქალების ოჯახებში, 2012, გვ. 8-9

³⁷ კირთაძე და სხვები., ორჯერ სტიგმატიზებული: მიმწოდებლის პერსპექტივა ნარკოტიკების მომხმარებელ ქალებზე საქართველოს რესპუბლიკაში, ფსიქოლოგიური ნივთიერებების ჟურნალი, ტ. 45 (1) 2013 წლის იანვარი - მარტი, გვ. 1

³⁸ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 45, 2005

³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 276

ლობითი ღონისძიებების გამოყენება მნიშვნელოვნად გაიზარდა.⁴⁰ მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული პირების 83% უბრუნდება ნარკოტიკების მოხმარებას თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ, ნარკოტიკების მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა საქართველოში ძირითადად დამსჯელობითია.

28. ნარკოტიკების მოხმარებელ ქალებთან ჩატარებული კვლევები აჩვენებს რომ ნარკოტიკებთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია და კანონმდებლობა ნარკოტიკების მოხმარებელი ქალების მიერ აღიქმება დაბრკოლებად მკურნალობის და სერვისების მიღების თვალსაზრისით⁴¹ ერთ-ერთ მთავარ პრობლემას კონფიდენციალურობის ნაკლებობა წარმოადგენს. ნარკოტიკების მოხმარებელი ქალების ჩართვა არსებულ სერვისებში ქმნის მაღალ რისკს, რომ პოლიცია დაინტერესდება ნარკოტიკების მოხმარებელი ქალით და სისხლის სამართალწარმოებას დაიწყებს მის მიმართ.⁴² ამასთან, იგივე მიზეზით ნარკოტიკების მოხმარებელი ქალები თავს იკავებენ და არ მიმართავენ პოლიციას მაშინაც კი, როდესაც მათზე ძალადობენ.⁴³
29. საქართველოში ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ნარკოტიკების მოხმარებელი ქალების 80%-ზე მეტი ოჯახში განიცდიდა ძალადობას.⁴⁴ ოჯახში ძალადობას ნარკოტიკების მოხმარებელი ქალების მიმართ უმეტესად გამართლებულად მიიჩნევენ. ეს ქართული საზოგადოების მიერ შენარჩუნებული „ზნეობრივი“ წესებიდან გამომდინარეობს, რომლებიც კაცებს ქალების კონტროლის ორმაგ ძალაუფლებას ანიჭებს.⁴⁵ შესაბამისად, მათი ტრადიციებთან შეუთავსებელი და მიუღებელი ქცევის გამო, რაც ასატანად ითვლება კაცების შემთვევაში, ნარკოტიკების მოხმარებელი ქალები დაცემულ და უღირს ქალებად მიიჩნევიან; ისინი ექვემდებარებიან ხელყოფას და გარიყვას თავად მათი ოჯახების მხრიდანაც.⁴⁶

⁴⁰ არაეთიკური ნარკოპოლიტიკა – ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2014, გვ: http://emc.org.ge/2014/05/27/araetikuri_narkopolitika/

⁴¹ ი. კირთაძე, დ. თთიაშვილი, ვ. ო'გრადი, ვ. ზულე, ე. კრუპიცკი, ვ. ვესბერგი, ჰ. ჯონსი, რისკი და სტიგმა დახმარების მიღების პროცესში და გავლენა პოლიტიკაზე, 2013, 2013 <http://www.slidshare.net/lrmaKirtadze/risk-and-stigma-in-seeking-care-and-policy-implications>

⁴² კავშირი „ნაბიჯი მომავლისკენ“, საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებელი ქალების ოჯახებში არსებული ძალადობა, საქართველო-გორი, 2012, გვ. 22.

⁴³ იხ. იქვე.

⁴⁴ კავშირი „ნაბიჯი მომავლისკენ“, გვ.11. კითხვაზე, თუ ვინ არის ყველაზე ხშირად აგრესიის წყარო ოჯახში, ქალების 55%-მა უპასუხა, რომ აგრესორია ქმარი, 19 %-მა დაასახელა პარტნიორი, 17 %-მა – დედამთილი ან მამამთილი, 7%-მა – სხვა ნათესავი, 2%-მა – საზოგადოება.

⁴⁵ ნარკოტიკები, გენდერი და სტერეოტიპები, კვლევითი დოკუმენტი, ელენე ჯაფარიძე, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2014 წლის აპრილი, გვ. 8.

⁴⁶ „ნაბიჯი მომავლისკენ“, გვ. 20.

30. 2014 წლის 17 მაისს ორგანიზაცია „აკვსო“-ს მიერ 14 ნარკოტიკების მომხმარებელ ქალთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის კვლევაში აღინიშნა, რომ სტიგმა და საზოგადოების დისკრიმინაციული დამოკიდებულება მნიშვნელოვნად აქეზებს ოჯახში ძალადობას. ამგვარი დამოკიდებულების გარეშე, ოჯახში ძალადობა ბევრად ნაკლები იქნებოდა და ქალები არ მიეცემოდნენ თვით-სტიგმატიზაციას, რაც განაპირობებს რწმენას, რომ ისინი იმსახურებენ ცემას;⁴⁷ ეს აქცევს ძალადობას ამ ქალების მიმართ ჩვეულებრივ და ყოველდღიურ მოვლენად.⁴⁸

რეკომენდაციები:

- საქართველომ უნდა მოახდინოს ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების დეკრიმინალიზაცია.
- საქართველომ უნდა შეიმუშავოს გენდერულ საჭიროებებს მორგებული სამკურნალო და ზიანის შემცირების სერვისები და ხელმისაწვდომი გახადოს ისინი ნარკოტიკების მომხმარებელი ქალებისთვის.

⁴⁷ ეს აღინიშნა 14, ნარკოტიკის მომხმარებელ ქალთან ორგანიზაცია „აკვსო“-ს მიერ ჩატარებულ, ფოკუს ჯგუფზე დაფუძნებულ კვლევაში, 17.05.2014. იხ. აგრეთვე ნარკოტიკები, გენდერი და სტერეოტიპები, კვლევითი დოკუმენტი, ელენე ჯაფარიძე, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2014, გვ. 10.

⁴⁸ კირთაძე და სხვები, ორჯერ სტიგმატიზებული: მიმწოდებლის პერსპექტივა ნარკოტიკების მომხმარებელ ქალებზე საქართველოს რესპუბლიკაში, ფსიქოაქტიური ნივთიერებების ჟურნალი, ტ. 45(1), 2013 წლის იანვარი-მარტი, გვ.1

